

მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა და საუკეთესო ძეგლი (1896 წელი, გაზეთი „ივერია“)

მთელი ჩვენი ქვეყანა, როგორც დასავლეთის საქართველო, ისე აღმოსავლეთისა, როგორც ქართლ-კახეთი, ისე იმერეთ-გურია-სამეგრელო უღრმესი მწუხარებით ჰგლოვობენ თავის სამაგალითო და სასიქადულო მთავარ-მწყემს-განსვენებულს გაბრიელ ეპისკოპოსს და გამსჭვალულნი, შეპყრობილნი არიან ამჟამად ერთი ზრუნვით, ერთი აზრით: რა ღონე მოვსძებნოთ იმისთანა, რომ იგი იყოს ყოვლად ღირსეული, ყოვლად შესაბამი, უნაყოფიერესი და საუკუნოდ უკვდავ ჰყოს განსვენებულის უმწიკვლო, ბრწყინვალე სახელი შავი ზღვის პირიდან დაწყებული დაღესტნამდე ყოველს ქართველს წოდებაში: გლეხობაში, სამღვდელოებაში, თავადაზნაურობაში, მოხელეობაში, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის, ერთი სიტყვით მთელს საქართველოს ერში?

ამისთანა ღონისძიების მისაგებად ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, თუ რომელი მთავარი ღირსება იყო განსვენებულისა სათავე მრავალის მისი ღირსებისა?

როცა მესამოცე წლების დამდეგში დაიბეჭდა განსვენებულის თხოულება რუსულად: „Основания опытной психологии“, და ამ თხოულებამ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება მთელის განათლებული რუსეთისა, ამ სტრიქონების დამწერს, რომელიც მაშინ კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, იქაურმა საუკეთესო პროფესორებმა სთხოვეს, ეამბნა მათთვის ყველაფერი, რაც კი იცოდა არქიმანდრიტს ქიქოძეზედ. როცა მოისმინეს ჩემი ვრცელი მოთხრობა ავტორის ცხოვრებასა და მოქმედებაზედ, პროფესორებმა აი რა აზრი გამოსთქვეს: როგორც ყველაფრიდგან სჩანს, არქიმანდრიტი ქიქოძე ერთსა და იმავე დროს შემკულია ღრმა სარწმუნოებით და საფუძვლიანი, მრავალ-მხროვანი აწინდელი განათლებით. და ეს ღირსება კი ყველგან ძლიერ იშვიათია და ბევრისათვის შეადგენს იდეალს, მიუწვდომელს საგანს ნატვრისაო.

ესევე მთავარი ღირსება თავისი სათაყვანებელი მთავარ-მწყემსისა იმერმა ხალხმა მდაბიოდ აღნიშნა ორი სიტყვით: მეცნიერი არქიერიო.

დიაღ, განსვენებულის სპეტაკ გულში ღვიოდა, ენთო ძლიერი, შეურყეველი სარწმუნოება და გონებაში - საფუძვლიანი, მრავალ-მხროვანი განათლება, მეცნიერება, და ორნივე - სარწმუნოება და მეცნიერება ჰარმონიულად იყვნენ შეთვისებულნი, შეზრდილნი, შეთანხმებულნი და შეადგენდნენ ერთს რთულს, მომხიბლავს სასულიერო ძალას, ბრწყინვალე ინტელექტსა.

ამ მთავარი თავისი ღირსებით, როგორც სხვა ბევრი თვისებით და ხასიათით, ჩვენი მეცნიერი არქიერიო მოაგონებდა ყველა შეგნებულს ქართველს პირველის საუკუნოების დიდებულს მამებს მსოფლიო ეკლესიისას, რომელნიც იყვნენ არამარტო ღრმა ღვთის-მეტყველნი, არამედ ზედმიწევნით ჰქონდათ შესწავლილი მთელი მეცნიერება საბერძნეთისა და რომისა. აკი ამიტომაც იყვნენ ეს წმიდანი მამანი ნამდვილნი მნათობნი ეკლესიისა, სამშობლოსი, კაცობრიობისა.

სარწმუნოება მოკლებული განათლებას, ხშირად იქცევა ვიწრო ფანატიკოსობად, ან აღმერთებს გარეგანს, დროებითს ფორმებს ეკლესიისას და ივიწყებს შინაგან მხარეს, ცხოველმყოფელს ზნეობრივს პრინციპებს, დედა-აზრებს სახარებისას. მეორე მხრივ, მეცნიერება, მოკლებული ჭეშმარიტს სარწმუნოებას, როდი უშლის თავის მექონს, მესაკუთრეს იყოს იგი იმდენადვე დიდი არამზადა, რამდენადაც იგი დიდი მეცნიერია. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს დიდი მეცნიერი

და ფილოსოფოსი ბეკონი, რომელიც, ისტორიკოსების სიტყვით, იყო მექრთამე, ვერაგი მეგობარი, გამცემი, საშინელი ეგოისტი...

სამაგიეროდ, უგენიოსესი ნიუტონი, უდიდესი მეცნიერი და ამასთან ჭეშმარიტი მორწმუნე, იყო იმისთანა მაღალი ზნის პატრონი, რომ თვით უკიდურესს მტრობასაც - კი არ შეეძლო მიეყენებინა ჩრდილი მისი ბრწყინვალე ცხოვრებისათვის. ამავე ღირსებით ბრწყინავდა ჩვენს დროში ფრანგი პასტერი, პირველი მეცნიერი საფრანგეთისა და ამასთან ღრმა მორწმუნე ქრისტიანი.

ეს მაგალითები და მრავალნი სხვანი გვაჯერებენ, რომ სარწმუნოების და მეცნიერების მოთავსება ჰარმონიულად შესაძლებელია არა მარტო სასულიერო პირთათვის, არამედ უმაღლესად განვითარებულ მეცნიერთათვისაც.

განსვენებულის მთავარ-მწყემსისთვის რომ ვისმე ეკითხნა სიცოცხლის დროს: რა უფრო ყველაზედ საჭიროა საქართველოს აყვავებისა და ბედნიერებისათვის, იგი მიუცილებლად უპასუხებდა: დანერგვა ყველა ქართველში ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ნამდვილი განათლებისა.

ხოლო ვიკითხოთ ეხლა: რა ღონისძიებით უფრო შესაძლოა ეს დანერგვა, რომელმაც ყველა ქართველი უნდა გახადოს მეტ-ნაკლებობით მონაწილედ იმ მთავარის ღირსებისა, რომელიც ამშვენებდა სამაგალითო მნათობს საქართველოს ეკლესიისა?

დაასახელეს სტიპენდიების დაარსება, სკოლის გახსნა განსვენებულის სახელობაზედ. ერთიც კარგი ღონისძიება გახლავთ და მეორეცა და ვინც თავისს წვლილს არ დაიშურებს ამ საქმისათვის, დიდი მადლობის ღირსი იქნება. მაგრამ მარტო ესენი საკმარისნი არ არიან. მოგეხსენებათ, რომ უდაბნოს მცირეოდენი წამოწვიმა, და ისიც პატარა ადგილზედ, ვერ ამწვანებს, ვერ ააყვავებს. უდაბნო შეიძლება გაცოცხლდეს და განაყოფიერდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მასზე ზეცა კიდითი-კიდე დაასხამს მსხვილსა და შხაპუნა წვიმასა. აქაც ასეა. მხოლოდ იმისთანა ღონისძიება მოგვწევს წადილსა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა ქართველისათვის. ესტუმრება საკუთარს სახლში ყველა იმერსა და ამერსა და ააღორძინებს ყველგან სარწმუნოებასა და ცოდნასა.

რა ღონისძიებაა ამისთანა? ჩემი აზრით, ეს გახლავთ სასულიერო და საერო მწიგნობრობის აღორძინება ქართულს ენაზედ განსვენებულის სახელით. გამდიდრება ჩვენი ლიტერატურის კლასიკური თხზულებებით, რომელთაგან ზოგნი განამტკიცებენ სარწმუნოებასა და ზოგნი მოჰფენენ მთელს ერში ცოდნასა, განათლებასა...

ყველა შეგნებულმა ქართველმა იცის, თუ რა მდიდარი იყო წინა საუკუნეებში სასულიერო ლიტერატურა ჩვენში. მარტო მცხეთის ტაძრის ბიბლიოთეკა იპყრობდა, პლატონ იოსელიანის სიტყვით, შვიდი ათას ტომსა, უმეტეს ნაწილად სასულიერო შინაარსისა. ახლა? ახლა-კი უბრალო კატეხიზმოც კი არ გვაბადია, თვით მაცხოვრის ცხოვრებასაც ვერ გაიცნობს ვრცლად ქართველი კაცი თავის-ენაზედ და მოკლე უჩვენეების ამარად ვართ დარჩენილნი. ღვთისმეტყველება დოგმატიური თუ ზნეობრივი ხომ სანატრელადაც ძნელი გახდა ჩვენს ენაზედა. სასულიერო ყმაწვილობა, სემინარიებში მოქცეული, იძულებულია ყველა საგანი ისწავლოს უცხო ენაზედ და მოკლებულია შეძლებას თავისუფალს დროს მაინც იკითხოს ქართულს ენაზედ იგივე საგნები, საერო მწიგნობრობაც ძლიერ ღარიბი გვაქვს. წინა საუკუნეებში მეტაფიზიკიდგან დაწყებული ბუნებისმეტყველებამდე ყველა მეცნიერება მოიპოვებოდა ჩვენს ენაზედა. ეხლა-კი მსოფლიო ისტორიას და საზოგადო გეოგრაფიასაც - კი დანატრულია ჩვენი ლიტერატურა, რის გამოც საერო

სასწავლებლების ქართველი მოწაფენი სრულიად მოკლებულნი არიან ღონისძიებას თავის ენაზედ იკითხონ სკოლის გარედ ისა, რასაც კლასში სწავლობენ მხოლოდ რუსულს ენაზედა. დიდები ხომ კიდევ უარესს მდგომარეობაში ვართ.

ამ სახით, მთავარნი წყარონი სარწმუნოებისა და ცოდნისა ჩვენში თითქმის დამშრალნი არიან, და თუ სდიან, ისიც მხოლოდ უცხო მილში, რომელიც ბევრისათვის მიუწვდომელია, და რომელიც მიმწვდენსაც ვერ გაუწევს იმ სამსახურს, რომლის გაწევაც შეუძლიან ეროვნულს მილსა. ამის შემდეგ რად უნდა გაგვიკვირდეს, თუ დიოგენის ფარნით უნდა ეძებო ჩვენში იმისთანანი, რომელნიც სარწმუნოებით და ცოდნით ცოტაოდენად მაინც ჰგავდნენ ჩვენს ნეტარხსენებულს განსვენებულსა.

დიალ, ჩვენი მეცნიერის არქიერის სამუდამო სახსოვრად საუკეთესო ძეგლი იქნება აღორძინება და გამდიდრება მისი სახელით ჩვენი ლიტერატურისა, სასულიეროსი და საეროსი, დარბაისლური, კლასიკური თხზულებებითა, რომელთაგან ზოგი გადმოითარგმნება და ზოგი დაიწერება ქართველ სწავლულთაგან. ხოლო ეს იმდენად ძნელი და რთული საქმეა, რომ მას ვერ იკისრებს ვერც კერძო პირი და ვერც რომელიმე ახლანდელი საზოგადოებრივი დაწესებულება. აქ საჭიროა მონაწილეობა მთელის ქვეყნისა, დახმარება ყოველი შეგნებულის ქართველისა, შეძლებისამებრ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შესდგეს ჯეროვანი თანხა. საძირკვლად ამ თანხას უნდა დაედოს ის ფული, რომელსაც „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გამოუგზავნიან განსვენებულის მემკვიდრეები იმ ქონებიდგან, რომელიც გადაურჩება ანდერძის ასრულებასა. ესევე საზოგადოება იკისრებს, უეჭველია, ამ საქმის გაძღოლასა და შეკრებილი თანხით ბეჭდავს ღირსეულს თხზულებებს ქართულს ენაზედ ამ ზედ-წარწერით: გამოცემული გაბრიელ ეპისკოპოსის თანხით „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

იმერთ რომ იკისრონ სასტიკენდიო თანხის შედგენა და ამერთ სამწიგნობროსი, კარგი განაწილება იქნება ძმათა შორის საშვილიშვილო საქმისა, ვგონებ.

ჩვენ ამ წერილში აღვნიშნეთ უმთავრესი ღირსება განსვენებულის მეცნიერის არქიერისა, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ხე არც ღეროთი, არც ფოთლებით, არც ტოტებით და არც ყვავილით არ იცნობება. ხის ღირსებას ყველაზე უტყუვრად აჩენს მისი ნაყოფი. აი, რისთვის ჩვენი წერილი დაუსრულებელი დარჩება, თუ არ აღვნიშნეთ ის მთავარი ნაყოფი, რომელიც მოიტანა ქვეყნისათვის განსვენებულის დაუღალავმა მოღვაწეობამ ოც-და-თხუთმეტი წლის განმავლობაში.

ამ ხნის განმავლობაში იმერთა ხალხის ცხოვრებაში მოხდა ერთი გასაოცარი მოვლენა, რომელმაც ყველას ყურადღება მიიპყრო. შედარება უფრო ნათელს მოჰყენს საგანსა და მას მივმართოთ. რუსეთის გლეხებს მთავრობამ ეგრეთ წოდებული ნადელები თვითონ გამოუსყიდა მებატონეებისაგან და მაინც გლეხობამ ვერ შეირჩინა ეს ნადელები. ქართლ-კახეთში ასში ერთმა ვერ გამოისყიდა აქამდინ ნადელი და ჯერედ თავდაუხსნელნი ყმები არიან ისევ. იმერთა ერმა კი, ყველა მხრივ შევიწროებულმა, რამდენიმე მილიონის მამული გამოისყიდა მებატონეთგან და გახდა სრული მესაკუთრე ნადელებისა, თუმცა მისთვის არც მთავრობას და არც სხვა ვისმეს არავითარი შემწეობა არ აღმოუჩენია. ამ მოვლენას სთვლიან ბევრნი და მათ შორის ბარონ ნიკოლაი თავის უკანასკნელს თხზულებაში *უმაგალითოდ მთელს მსოფლიო ისტორიაში*. ვინ მოახდინა ამ ერში ის ცვლილება, რომლის მეოხებით მან შესძლო ასეთი საოცარი საქმე ჩაედინა? რასაკვირველია იმან, რომელიც, როგორც ღვიძლი მამა, შეკავშირებული ყველა ეროვნული

სიმებით თავისს ძვირფას სამწყსოსთან, დაულავად უქადაგებდა სიტყვით და საქმით მას მხნეობას, თავდაჭერილობას, მოთმინებას, წმინდა ზნეობას, მარტივს ცხოვრებას, სწავლის სიყვარულს და ყოველ ღონეს ხმარობდა თავის ღვიძლს სამწყსოში გაევრცელებინა სარწმუნოებაცა და ცოდნაცა.

რომ ჩვენ აქ არა ვსცდებით, ამას ის მოვლენაც ამტკიცებს, რომ იმერთა ინტელიგენცია-ქალნი, თუ კაცნი, რომელიც იყო სრულიად სხვა გავლენის ქვეშ და არა თავისი მეცნიერის არქიერისა, აშკარად სხვა სურათს წარმოადგენს. რამდენადაც იმერთა ხალხია მხნე, საქმიანი და გამჭრიახი, იმდენად ინტელიგენცია უძლურია უმეტეს ნაწილად. ხალხი დაემსგავსა მეტნაკლებობით თავისს მწყემსთ - მთავარს, რომლის გამუდმებული გავლენის ქვეშ იგი დიდ ხანს იმყოფებოდა, ინტელიგენცია კი მოკლებულია მთავარ ღირსებას განსვენებულისას, რადგანაც შორს იდგა მისგანა.

არა მგონია, რომ რომელიმე მწყემსთ-მთავრის მოქმედებას არამც თუ ჩვენში და რუსეთში, არამედ ევროპაშიაც მოეტანოს სამწყსოსთვის იმაზედ უუნაყოფიერესი შედეგი, რომელიც შესძღვნა იმერთა ერსა განსვენებულის მღვდელთ-მთავრის ოც-და-თხუთმეტი წლის თავდადებულმა მოღვაწეობამ.

კაცი ის არის, ვინც არის
ზეგარდმო მადლით ცხებული,
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ,
მით მხარე დამშვენებული.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა: **თინათინ საღარაძემ**
თბილისი, 4 აპრილი, 2020 წელი
#დარჩისახლში.